ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 07 სექტემბრის მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2026 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია

მომხს: ვარლამ ჭიპაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე **ნინო მაღლაკელიძე** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის ანგარიში კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ბესიკ კვირიკაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, 36.00.151 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, სოფელ მარელისში მდებარე 65 ერთეულ ელექტრო საყრდენებზე (ბოძებზე) საპროექტო საჰაერო ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის განსათავსებლად ა(ა)იპ ,,ოუფენ ნეტი"- სათვის (ს/ნ 404497790) ელექტრო საყრდენის (ბოძების) იმ ნაწილის, რაც კაბელის დასამაგრებლადაა საჭირო, 2 (ორი) წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

4.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში 36.01.31.490 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, დაბა ხარაგაულში, სოლომონ მეფის ქუჩა N56.ა -ში მდებარე 35 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ა(ა)ი პ ,,ოუფენ ნეტი" -სთვის (ს/ნ 404497790), პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით 2 წლის ვადით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

საკრებულოს თავმჯდომარე

მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 07 სექტემბრის მორიგი სხდომის

ოქმი N 12

2026 წლის 07 სექტემბერი

დაბა ხარაგაული

9 აპრილის ქუჩა #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: დავით კიკნაძე, პაატა გოგოლაძე, ამირან ოქრომჭედლიძე, ბესიკ კვირიკაშვილი, პავლე კიკალიშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, კობა კვირიკაშვილი, ჟანა ნემსაძე, შალვა ლურსმანაშვილი, ოთარი ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ნონა ზურაბიანი, ირმა ვაქერ - სებისკვერაძე, გივი თხელიძე, როინ გელაშვილი, ვერა ოდიკაძე , მერაბ ტალახაძე, დოდო ხაჩიძე, იამზე პაქსაშვილი, ლენა აბაშიძე, ავთანდილ ვეფხვაძე, ავთანდილ კვინიკაძე, ეკატერინე შველიძე, იზოლდა ვეფხვაძე, ვლადიმერ ტალახაძე, გელა მაღრაძე, გრიგოლ ჭიპაშვილი, გურამ კურტანიძე, ბესიკი ტალახაძე, ბესარიონ გრიგალაშვილი, სპარტაკ ლაცაბიძე, მიხეილ ჭიპაშვილი, გივი მაისურაძე სულ 34 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე,

ნინო მაღლაკელიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

ინგა ლურსმანაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი .

საკრებულოს აპარატი

ლენა კალანდაძე საკრებულოს აპარატის უფროსი,

ნინო თხელიძე საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

მაკა ლურსმანაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი,

ანა ნიქაბაძე ა (ა) ი, პ. მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის თანამშრომელი,

სულიკო გლუნჩაძე ოპერატორი

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის შემდეგი დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2026 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია

მომხს: ვარლამ ჭიპაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე **ნინო მაღლაკელიძე** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის ანგარიში კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ბესიკ კვირიკაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, 36.00.151 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, სოფელ მარელისში მდებარე 65 ერთეულ ელექტრო საყრდენებზე (ბოძებზე) საპროექტო საჰაერო ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის განსათავსებლად ა(ა)იპ ,,ოუფენ ნეტი"- სათვის (ს/ნ 404497790) ელექტრო საყრდენის (ბოძების) იმ ნაწილის, რაც კაბელის დასამაგრებლადაა საჭირო, 2 (ორი) წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

4.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში 36.01.31.490 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, დაბა ხარაგაულში, სოლომონ მეფის ქუჩა N56.ა -ში მდებარე 35 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ა(ა)ი პ ,,ოუფენ ნეტი" -სთვის (ს/ნ 404497790), პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით 2 წლის ვადით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 34 წევრი.

მომხრე 33

წინააღმდეგი 1

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვამდე საკრებულოს წევრმა პარტია „ლელო-ძლიერი საქართველო“ -ს წარმომადგენელმა მიხეილ ჭიპაშვილმა დააყენა წინადადება საკრებულოს სხდომის ღია ეთერში გაშვების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მანანა ბარბაქაძემ მიხეილ ჭიპაშვილის წინადადება სხდომის პირდაპირი ტრანსლირების შესახებ დააყენა კენჭისყრაზე

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 34 წევრი.

მომხრე 1

წინააღმდეგი 33

საკრებულოს 33 წევრმა მხარი არ დაუჭირა სხდომის ღია ეთერში გაშვებას.

ამის შემდეგ სხდომა განახლდა

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ვარლამ ჭიპაშვილის ინფორმაცია საკითხზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2026 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობის შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

პავლე კიკალიშვილმა საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, მან აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა კომისიის სხდომაზე წინა კვარტალთან დაკავშირებით შემოსავლები გაუმჯობესებულია ცალკეული პარამეტრები გადაჭარბებით არის შესრულებული, რაც კარგია კომისიამ ინფორმაცია მიიღო ცნობად.

მიხეილ ჭიპაშვილმა საკრებულოს წევრმა „ლელო -ძლიერი საქართველო“დან მომხსენებელს არ მისცა შესაძლებლობა ინფორმაციის დასრულების და მომსხენებელთან დისკუსიაში ახდენდა სხვადასხვა საკითხებზე რეპლიკების წარმოთქმას, რაზედაც მომხსენებელი პარალელურ რეჟიმში აძლევდა განმარტებებს.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე

საკრებულომ ინფორმაცია მიიღო ცნობად (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ბესიკ კვირიკაშვილის ანგარიში კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

როინ გელაშვილმა საკრებულოს ფრაქცია „ქართულო ოცნება - დემოკრატიული საქართველო“- ს თავმჯდომარის მოადგილემ, რომელმაც აღნიშნა, რომ კომისიის საქმიანობას აფასებს დადებითად.

მიხეილ ჭიპაშვილმა საკრებულოს წევრმა „ლელო -ძლიერი საქართველო“-დან დააფიქსირა პოზიცია, როგორც აღნიშნული კომისიის წევრი თავს იკავებს შეფასებისგან და არ იღებს მონაწილეობას კენჭისყრაში

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს თავმჯდომარის მოადგილის“ როინ გელაშვილის წინადადება კომისიის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე.

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 34 წევრი.

მომხრე 34

წინააღმდეგი

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ინგა ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, 36.00.151 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, სოფელ მარელისში მდებარე 65 ერთეულ ელექტრო საყრდენებზე (ბოძებზე) საპროექტო საჰაერო ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის განსათავსებლად ა(ა)იპ ,,ოუფენ ნეტი“- სათვის (ს/ნ 404497790) ელექტრო საყრდენის (ბოძების) იმ ნაწილის, რაც კაბელის დასამაგრებლადაა საჭირო, 2 (ორი) წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ (თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 34 წევრი.

მომხრე 33

წინააღმდეგი

თავი შეიკავა 1

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ინგა ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე .ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში 36.01.31.490 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, დაბა ხარაგაულში, სოლომონ მეფის ქუჩა N56.ა -ში მდებარე 35 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ა(ა)ი პ ,,ოუფენ ნეტი“ -სთვის (ს/ნ 404497790), პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით 2 წლის ვადით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ (თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 34 წევრი.

მომხრე 33

წინააღმდეგი

თავი შეიკავა 1

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**